საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
“გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”

ბრძანება

43-01/1-4-202005221733

N 43/ს 22/05/2020

„საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების და ცენტრის დირექტორის 2016 წლის 8 ნოემბრის N77/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ 2019 წლის 06 თებერვლის N5/ს დირექტორის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2018 წლის 6 სექტემბრის N2-742 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის - ანა ჭოლოკავას, 2020 წლის 19 მაისის N181 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 თებერვლის N5/ს ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე, პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ცენტრის გარემოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი - ნინო ქიქავა.“

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მომზადებაზე და შემდგომში ელექტრონულ რესურსზე (eiec.gov.ge) განთავსებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს გარემოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი - ნინო ქიქავა.“

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. ცენტრის სტრუქტურული ერთეულების უფროსებმა, ცენტრის ელექტრონულ რესურსზე (eiec.gov.ge) უკვე განთავსებული ინფორმაციის განახლების მიზნით, ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული ინფორმაცია ნინო ქიქავას მიაწოდონ ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო შემდგომ, ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული პერიოდულობით.“

2. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

3. ეს ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი